

საფეხმავლო აუდიტი

რამდენად მოსახერხებელია თქვენი უბანი, სამეზობლო, სასწავლებელი ან სამუშაო გარემო სიარულისთვის?

გაისეირნეთ მარტომ, ოჯახთან, ბავშვებთან ან მეგობრებთან ერთად და თავად გადაწყვიტეთ

სიარული ყველასთვის სასარგებლოა. მაგრამ ამავდროულად აუცილებელია, რომ იგი მარტივი და უსაფრთხო იყოს. გაისეირნეთ და ამ კითხვარის გამოყენებით დაადგინეთ, თუ რამდენად არის თქვენი უბანი ქვეითზე მორგებული.

დაადგინეთ, რა დაბრკოლებები ექმნებათ ქვეითებს თქვენს სამეზობლოში და მოგვაწოდეთ ინფორმაცია. საფეხმავლო აუდიტის შედეგებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარვუდგენთ თბილისის მერიას და თქვენი რაიონის გამგეობას.

როგორ დავიწყოთ:

- **პირველ რიგში** შეარჩიეთ მარშრუტი, როგორცაა მაგ. გზა სახლიდან-სკოლამდე, მეგობრის სახლამდე ან სხვა თქვენთვის სასურველი მონაკვეთი.
- **მეორე საფეხურზე** დაგჭირდებათ ქვემოთ მოცემული კითხვარი. სახლიდან გასვლამდე გადაიკითხეთ იგი და სიარულისას მონიშნეთ ლოკაციები, სადაც დაბრკოლებას წააწყდებით და რომელთა შეცვლასაც ისურვებდით.
- **დანიშნულების ადგილზე** მისვლისას თითოეული საკითხი შეაფასეთ ქულათა შკალაზე. შეკრიბეთ ქულები და ნახეთ თუ რა ქულა მიიღო ჯამში თქვენმა მარშრუტმა.
- გადაუღეთ ფოტო შევსებულ კითხვარს და გამოგვიგზავნეთ შემდეგი ფოსტის მისამართზე: iarepekhit@gmail.com ან Facebook-ზე
- ([იარე ფეხით Iare Pekhit](#)). ყველა მონაწილის შეჯამებულ შედეგებს რეკომენდაციებთან ერთად თბილისის მერიას გადავცემთ.



1. იყო საკმარისი სივრცე სიარულისთვის?

დიახ არა: რეიტინგი: 1 2 3 4 5 6

- არა - ტროტუარები ან გზები წყდებოდა
 - არა - დაზიანებული ტროტუარის საფარი
 - არა - ტროტუარები ჩახერგილი იყო მანქანებით, ნაგვის ურნებით, მშენებლობით, კერძო ბიზნესით ა.შ.
 - არა - არ იყო ტროტუარი
 - სხვა _____
- პრობლემის ლოკაციები: _____

2. ქუჩებზე გადასვლა მარტივი იყო?

დიახ არა: რეიტინგი: 1 2 3 4 5 6

- სავალი ნაწილი ზედმეტად განიერი იყო
 - დიდ ხანს მოგვიწია მწვანე შუქნიშნის ლოდინი ან არ იყო საკმარისი დრო გადასვლისათვის
 - არ იყო ზებრა გადასასვლელი ან შუქნიშანი
 - პარკირებული მანქანები ზღუდავდნენ ხედვას
 - მცენარეები ან ხეები ზღუდავდნენ ხედვის არეალს
 - ტროტუარზე არ ან შესაკეთებელი იყო პანდუსი
 - სხვა _____
- პრობლემის ლოკაციები: _____

3. მძღოლები კარგად იქცეოდნენ?

დიახ არა: რეიტინგი: 1 2 3 4 5 6

- მძღოლები:
- მოსახვევში სიფრთხილეს არ იჩენდნენ
 - არ უთმობდნენ გზას ქვეითებს გადასასვლელზე
 - არ უთმობდნენ გზას ქვეითებს შუქნიშანზე მოხვევისას
 - გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდნენ
 - სიჩქარეს უმატებდნენ, რათა მოესწროთ შუქნიშანზე გავლა ან არ ჩერდებოდნენ წითელზე
 - სხვა _____
- პრობლემის ლოკაციები: _____

4. გაგიმარტივდათ საგზაო წესების დაცვა?

დიახ არა: რეიტინგი: 1 2 3 4 5 6

შეგეძლოთ თუ არა:

- დიახ არა გადასვლისას ზებრით სარგებლობა?
- დიახ არა მისი არ არსებობის შემთხვევაში გზის გადაკვეთა ისე, რომ ხედვის არეალი არ ყოფილიყო შეზღუდული?
- დიახ არა სიარული ტროტუარზე ან მისი არ არსებობის შემთხვევაში გვერდულაზე მოძრაობის საპირისპიროდ?
- დიახ არა შუქნიშნზე გადასვლა?

პრობლემის ლოკაციები: _____

5. სასიამოვნო იყო გასეირნება?

დიახ ნაკლებად რეიტინგი: 1 2 3 4 5 6

- გამწვანების, ყვავილების ან ხეების ნაკლებობა
- აგრესიული მაწანწალა ძაღლები
- საშიში ადამიანები
- ცუდად განათებული ქუჩა
- დაბინძურებული, ბევრი ნაგავი
- სხვა _____

პრობლემის ლოკაციები: _____

6. შეაჯამეთ და ნახეთ, რამდენად ქვეითზე მორგებულია თქვენი მარშრუტი?

1. _____ 26-30 გილოცავთ! თქვენი მარშრუტი ქვეითზე მორგებულია
2. _____ 21-25 თქვენი მარშრუტი საკმაოდ კეთილმოწყობილია
3. _____ 16-20 არა უშავს რა, თუმცა გაუმჯობესება სჭირდება
4. _____ 11-15 ბევრი სამუშაო ჩასატარებელი, თქვენ უკეთესს იმსახურებთ
5. _____ 5-10 საგანგაშო მდგომარეობაა!

ჯამი _____

გილოცავთ, თქვენ წარმატებით დაასრულეთ სიარულის აუდიტი - გადადით შემდეგ გვერდზე და გაიგეთ როგორ შეგიძლიათ გააუმჯობესოთ თქვენი გარემო

რა შეგიძლიათ გააკეთოთ, თქვენი უბნის, სამეზობლოს, სამუშაო ან სასწავლებელი გარემოს გაუმჯობესებისათვის?

- გაწვევრიანდი და ერთად ვაქციოთ ქალაქი ქვეითზე მორგებულ სივრცედ (ამისთვის რეგისტრაცია გაიარე ჩვენს ვებგვერდზე - www.iarepekhit.org)
- გახდი ჩვენი მოხალისე - შეავსე მოხალისეთა სარეგისტრაციო [ფორმა](#)
- მოდი ჩვენს ორგანიზებულ აქციებსა და სხვა ღონისძიებებზე - (თვალი ადევნე ჩვენს ფეისბუქ გვერდს - [იარე ფეისბუქ Iare Pekhit](#))
- თუ მძღოლები ტროტუარს გაუვალს ხდიან, დაუტოვეთ მათ შეტყობინება ან ბარათი საქარე მინაზე
- თქვენს სამეზობლოში უკანონოდ პარკირებული ავტომანქანების შემთხვევაში დაუკავშირდით თბილისის პარკინგს (ცხელი ხაზი - **293 44 44**)
- თუ მშენებლობისას ან სხვა სამუშაოებისას დარღვეულია უსაფრთხოების ზომები, შეზღუდულია ტროტუარზე გადაადგილება - დაუკავშირდით თბილისის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას (მერიის ცხელ ხაზზე - **2 722 222**)
- განაცხადეთ საგზაო მოძრაობის დარღვევები პოლიციაში, როგორცაა გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა, ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვა, ქვეითებისთვის გზის არ დათმობა (დარეკეთ ცხელ ხაზზე - **112**)
- პატრულის მიერ დარღვევების ჩადენის ან მათი უგულვებელყოფის შემთხვევაში დაუკავშირდით გენერალურ ინსპექციას - **126**
- გაიგეთ მეტი საგზაო მოძრაობის კანონებისა და წესების შესახებ და ასწავლეთ თქვენს ბავშვს
- მოითხოვეთ სკოლაში საგზაო უსაფრთხოების ღია გაკვეთილის ჩატარება - ალიანსი საგზაო უსაფრთხოებისათვის - **577 32 72 71** ეკა ლალიაშვილი
- მოაწყეთ შაბათობა და დაასუფთავეთ თქვენი სამეზობლო, ეზო ა.შ.
- დარგეთ მცენარეები და ხეები თქვენს სამეზობლოში (რჩევისთვის შეგიძლიათ მიმართოთ პარტიზანულ მებაღეობას თბილისში)
- დაუკავშირდით **112** ცხელს ხაზს ყველა გადაუდებელი შემთხვევისას